საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/5293
15/09/2022

5293-21-2-202209151645

შპს „ხონის პლანტაციებს“
მის: ხონის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქუტირი
ელ. ფოსტა: aniomiadze@yahoo.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №3229 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ხონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქუტირში სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

როგორც №21/4241 წერილით გეცნობათ, სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ წყალაღების წერტილიდან აღებული წყალი 7 მ სიგრძის მქონე (დიამეტრი 30 სმ) შემწოვი მილით მიეწოდება ფილტრს, რომლის გავლითაც წყალი გადადის გამანაწილებელში. გამანაწილებელი მიერთებულია 90 მმ-იან მაგისტრალურ მილებთან, რომლითაც წყალი მიეწოდება სექციებად დაყოფილ პლანტაციას. მაგისტრალური მილების საერთო სიგრძე შეადგენს 900 მ-ს. 90 მმ-იანი მაგისტრალურ მილებზე მიერთებულია ქვემაგისტრალური 63 მმ-იანი მ-ლები, რომლითაც წყალი ნაწილდება აგროტექსტილის ქვეშ განთავსებულ 12-25 მმ დიამეტრის მქონე სარწყავ მილსადენებში, რომლებიც აღჭურვილია საწვეთურებით. დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს მილების სიგრძე მაგისტრალური მილებიდან მოცვის ბაღებამდე (ქვემაგისტრალური და აგროტექსტილის ქვეშ განთავსებული);

- ამასთან, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი (37.10.30.350) მითითებულია არასწორად და საჭიროებს დაზუსტებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო